

შპს „ავერსის კლინიკა“ აცხადებს ტენდერს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის პირის შერჩევის მიზნით

სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ქ. მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 83.02.30.166), შემდეგი მონაცემების მქონე კლინიკის შენობაში:

ფართი - 81.2 კვ.მ.

ჭერის სიმაღლე - 3.20 მ.

სამუშაოთა წარმოება ობიექტზე უნდა განხორციელდეს, კლინიკის ფუნქციონირების შეუფერხებლად.

სატენდერო განცხადებას დანართების სახით ერთვის:

- ხარჯთაღრიცხვა - დანართი №1
- პროექტის კონსტრუქციული ნაწილი – დანართი №2.1;
- პროექტის არქიტექტურული ნაწილი – დანართი №2.2;
- ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი - დანართი №3;
- აფიდავიტი – დანართი №4;

დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:

ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1), რომელშიც უნდა იშიფრობოდეს ხელფასისა და მასალის ღირებულება (დარიცხვების გარეშე ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა არის პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი, ხარჯთაღრიცხვა ატვირთული უნდა იყოს თანდართული ფორმის შესაბამისად);

სამუშაოების ღირებულების გადახდის პირობა;

საგარანტიო პირობები, საგარანტიო ვადები;

სამუშაოების შესრულების ვადა, გრაფიკი.

*** შენიშვნა:**

- სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის ტენდერში თანაბარი პირობების დაცვის მიზნით, თითოეულ კანდიდატს გადაეცემა ფიქსირებული ფასები (დანართი №1). პრეტენდენტი ვალდებულია მასალების ფასები წარმოადგინოს დანართში მითითებული ფიქსირებული ფასების შესაბამისად.

პრეტენდენტი, რომელსაც სამუშაოების ღირებულების გადახდის პირობაში ავანსის სახით სამუშაოთა საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი თანხის ჩარიცხვა აქვს გათვალისწინებული ან/და ეს თანხა აღემატება 5000 ლარს, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე წარმოადგინოს საბანკო გარანტია, დამკვეთთან შეთანხმებული/მისაღები ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან.

ტენდერში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონული სისტემის eTenders.ge-ს საშუალებით (ტენდერის ნომერი : 53430) 2018 წლის 17 აგვისტოს, 15:00 სთ–მდე უნდა ატვირთონ შემდეგი საბუთები:

- შევსებული ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1);
- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს სია და მათგან არანაკლებ ორი დამკვეთი პირის რეკომენდაცია;
- ხელმოწერილი აფიდავიტი დანართის №3 სახით;

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 7 სამუშაო დღე);

პრეტენდენტს, დამკვეთის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებით მოეთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- საგადასახადოს სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი - "დღგ"-ს გადამხდელი ან "შელავათების მქონე გადამხდელი";
- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.
- საბანკო რეკვიზიტები (ბანკის მიერ გაცემული ბეჭდიანი ცნობის სახით);

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

თუ სამუშაოთა შესრულება იგეგმება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით, პრეტენდენტის მიერ ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ მონაცემები, ზემოაღნიშნული საბუთების სახით.

შენიშვნა: პრეტენდენტს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული დამკვეთის მიერ ბოლო 2 (ორი) თვის განმავლობაში ჩატარებულ ტენდერში და წარმოდგენილი აქვს ზემოაღნიშნული საბუთები, არ ევალება მოცემულ ტენდერში მონაწილეობისათვის დამატებით წარმოადგინოს მითითებული დოკუმენტაცია, გარდა ანალოგიური სისტემებით შესრულებული სამუშაოების სრული სიის, მათგან არანაკლებ ორი დაკვეთი პირის რეკომენდაციის, აფიდავიტისა. წინამდებარე გამონაკლისი არ ვრცელდება იმ პრეტენდენტზე, რომლის მონაცემებშიც შევიდა ცვლილება მითითებული პერიოდის განმავლობაში.

პრეტენდენტმა ელ. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, **2018 წლის 17 აგვისტოს, 13:00 სთ–მდე** ავერსის კლინიკის ცენტრალურ ოფისში (ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ. №27ბ), უნდა წარმოადგინოს **სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია** ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის გარანტიის სახით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით (სატენდერო წინადადების გარანტიის ვადა – წარმოდგენიდან არანაკლებ ერთი თვე). გარანტიის წარმოუდგენლობა არის პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი.

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, მოეთხოვება წარადგინოს:

1. დამკვეთისათვის მისაღები მაღალი რეპუტაციის მქონე ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან ხელშეკრულების შესრულების გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედება 3 (სამი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
2. ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთისათვის მისაღები ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან გარანტიის წარმოდგენა – საავანსო თანხის ღირებულების ოდენობით.

შენიშვნა: დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლის მხრიდან სამუშაოების შესრულების ვადების 10 დღითა და მეტით დარღვევის შემთხვევაში.

• სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო წინადადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები არის შემდეგი:

- ხარისხი;
- ღირებულება;
- სამუშაოების შესრულების ვადა;
- ანალოგიურ სფეროში არსებული გამოცდილება;
- ანგარიშსწორების პირობა;

სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

შენიშვნა: ტენდერი ტარდება "1 კონვერტის პრინციპით", რომელიც არ ითვალისწინებს ვაჭრობის ეტაპს. შესაბამისად, პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს მათ მიერ მოწოდებული საქონლის საბოლოო ღირებულება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტი ვერ შეძლებს ტენდერის ფარგლებში დაფიქსირებული საქონლის ღირებულების შემცირებას.

წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში. ამასთან, წინამდებარე სატენდერო განცხადების საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათ შორის პერსონალური მონაცემების) წარმოდგენა ადასტურებს პრეტენდენტ(ებ)ის თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, ინფორმაციის დაზუსტება შესაძლებელია შემდეგ საკონტაქტო პირებთან - გია პაიჭაძე, ტელ: 577274776, giorgi.paichadze@aversi.ge; მარიამ გამხიტაშვილი, ტელ: 558101330, ელ ფოსტა: mari.gamkhitashvili@aversi.ge.